



# შირაკი

**SHIRAKI**

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№46 (9.562)

7 ლექსი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## უილაუზილა ამერიკის ელჩს ფიროსმანის კატალოგი უსახსოვრა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შილაუზილამ ამერიკის ელჩს რიჩარდ ნორლანდს საჩუქრად ნიკო ფიროსმანის კატალოგის ბოლო გამოცემა გადასცა და დედოფლისწყაროში მოიწვია.

გამგებელი ელჩს საგარეო მუნიციპალიტეტში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის გახსნის ცერემონიაზე შეხვდა. ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა,

კახეთის მხარის გუბერნატორთან, ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად გახსნა.

ელჩმა გახსნის ცერემონიაზე აღნიშნა, რომ იმ ათი ცენტრიდან, რომელიც მათ საქართველოში გახსნეს, საგარეო ბოლო ობიექტია.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი აღჭურვილია აუდიო-ვიზუალური აპარატურით, კომპიუტერებით, არის დარ-

ბაზი საჯარო შეხვედრებისთვის, ასევე ოთახი შედარებით მცირემასშტაბიანი შეხვედრებისთვის და ბიბლიოთეკა.

ცერემონიას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან ირაკლი შილაუზილთან ერთად ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილიც ესწრებოდა.

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა, ელჩი დედოფლისწყაროში მოვიწვიე და საჩუქარი გადავიცი,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ირაკლი შილაუზილმა.

„ბატონმა ელჩმა დედოფლისწყაროს არსებობის შესახებ, სამწუხაროდ, არაფერი იცოდა. თუმცა, სასიხარულო ფაქტი იყო, რომ ის ფიროსმანის შემოქმედებას იცნობდა,“ — აღნიშნავს ნიკო ფიროსმანის მუზეუმის მმართველი ნელი გობეჯიშვილი.

„ეს არის ბოლო, იმ 10 დემოკრატიული ჩართულობის ცენტრიდან, რომელიც აშშ-მ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გახსნა. ვფიქრობ, ამ რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ცენტრი. პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებსა და აქტიურ მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ამ ნეიტრალური ადგილით, სადაც შეიკრიბებიან, იმსჯელებენ და ერთმანეთს საკუთარ შეხედულებებს გაუზიარებენ,“ — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

გაზეთ „შირაქს“ ინფორმაციით, საგარეო დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი რუსთაველის ქუჩა N240-ში მდებარეობს.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით გახსნილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები უკვე ფუნქციონირებს თელავში, მარნეულში, რუსთაველაში, გორში, ახალციხეში, ბათუმში, ოზურგეთში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მეშვეობით, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს, მედიასაშუალებებსა და საზოგადოებას საშუალება ექვება ნეიტრალური ადგილით და გარემოთი ისარგებლონ.

კახეთის გუბერნატორის, ზურაბ ჭიაბერაშვილის განმარტებით, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი სამოქალაქო განათლებასა და თვითმმართველობის გამჭვირვალე საქმიანობას ხელს შეუწყობს.

ილია მარტყოფლიშვილი

## წუ გეპინათ, წყლის ხარისხი დამაკმაყოფილებელია!

ამ ბოლო დროს დედოფლისწყაროს მოსახლეობა ეჭვს გამოთქვამს სასმელი წყლის ხარისხის თაობაზე. მათი აზრით, წყალი შესაბამის სტანდარტს არ შეესაბამება. როგორც გაირკვა, მოსახლეობის პრეტენზიების მოსმენა უწევთ თვით წყალმომარაგების კომპანიაშიც, — ხალხის განცხადებით, საშინელი სუნი აქვს ონკანის წყალს და მისი დაღვევა შეუძლებელიაო. უამრავ ადამიანს კი, როგორც ირკვევა, თეთრი შეფერილობის წყალზე აქვს პრეტენზია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს წყალმომარაგების სერვისცენტრის ლაბორანტი თამარ

მჭედლიშვილი კომენტარს აკეთებს:

„მინდა, ჩვენი რაიონის მოსახლეობას მივმართო, რომ ამ ეტაპზე წყლის ხარისხი შეესაბამება სტანდარტულ ნორმებს და პანიკის საფუძველი ნამდვილად არ აქვთ. წლების წინ მართლაც იყო ცუდი მდგომარეობა, სასმელი წყლის რეზერვუარი განმედიტით სამუშაოებს მოითხოვდა. მე, როგორც ლაბორანტმა, კატეგორიულად მოვითხოვე წყლის გადაკეთვა და რეზერვუარის განმედიტა. აღნიშნული სამუშაოები ჩვენი კომპანიის მიერ მართლაც განხორციელდა — შესაბამისი ნორმების დაცვით გავწმინდეთ და დეზინფექცია ჩავუტარეთ ცენტრალურ რეზერვუარს.“

ამჟამად წყალს დეზინფექცია უტარდება ყოველდღიურად და ჩვენი წყალი ექვემდებარება 2007 წლის დეკემბრის ბრძანებით დადგენილ ნორმებს. მინდა ისიც დავძინო და მოსახლეობა დავამშვიდო, რომ ქლორის სუნი არანაირად საშიში არ არის, რადგან ჩვენი მინა ბუნებრივად კარბონატული ნიადაგია და კირი ქლორთან ურთიერთობისას ინვევს სპეციფიკურ სუნს. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ დაქლორილი წყალი ხარისხიანი წყლის ნიშანია, საშიში დაუქლორავი წყალია“. — აცხადებს თამარ მჭედლიშვილი.

ლალი მხრეიშვილი

**მსურველთა საჭურავლავო!**  
 გაზეთი „შირაქი“ არ ლალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს**. თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2013 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 20 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.  
 შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი. იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

**ცოფის შემთხვევა დედოფლისწყაროში**

მვ. 3

**საკადრო**  
**ცვლილებები**  
**მუნიციპალიტეტის**  
**გამგეობაში**

მვ. 3

**მასშტაბური მართონი**

მვ. 4

**ყველაზე სასიხარულო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- საპარტოლაზარში აქტები
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენივე!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)

### პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მართლმადიდებელი და მუსლიმანი თანამოქალაქეების დაპირისპირების შესახებ საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

“სრულიად შემაშფოთებელია ის ვითარება, რომელიც ამ ბოლო დროს შეიმჩნევა საქართველოს ზოგიერთ რაიონში — ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მართლმადიდებელი და მუსლიმანი ჩვენი თანამოქალაქეები.

ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ასეთი დაპირისპირება სრულიად უცხოა ჩვენი ხალხისათვის. ეს არ არის ქართული მოვლენა. საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელ ქრისტიანებთან სრულიად მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენლები და ისტორიას არ ახსოვს რელიგიური ნიშნით დაპირისპირების თუნდაც ერთი შემთხვევაც კი.

სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, ამ ბოლო დროს რელიგიური ნიშნით დაპირისპირების გახშირება აშკარად პროვოკაციის ნიშნებს ატარებს და საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება ყველა ამ ქვეყნის მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა და ჩვენი ხელისუფლება არ დაუშვებს ვინმესთვის ამ უფლების შეზღუდვას. სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ თითოეულ კანონდარღვევას და უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც კანონსაწინააღმდეგოდ მონაწილეობს ამ სამარცხვინო დაპირისპირებაში.

მინდა მოვუწოდო ჩვენს როგორც მართლმადიდებელ, ისე მუსლიმან მოქალაქეებს, თავი შეიკავონ და პატივი სცენ ჩვენი ქვეყნის ტრადიციას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ასეთი დაპირისპირება და ნუ აყვენიან პროვოკაციებს.

როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ვიღებ პასუხისმგებლობას და გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომელ კონფესიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტია ექნებათ”.

### მიხეილ სააკაშვილი: ჩვენი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ ყოფილა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „ჩვენი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული და არც არასდროს ყოფილა“.

ამის შესახებ სააკაშვილმა პოლონეთში, კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. კონფერენცია გრიგოლ ფერაძის გარდაცვალებიდან 70 წლისთავს მიძღვნილია.

„ჩვენი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული და არც არასდროს ყოფილა. ჩვენი პოლიტიკა გულისხმობს გრძელვადიან განვითარებას, მშვიდობასა და შესაძლებლობებს ამ რეგიონის თითოეული მკვიდრისთვის. ის არ არის რელიგიურ დაყოფებთან დაკავშირებული. გრიგოლ ფერაძეს, რომელიც დიდი ქრისტიანი მღვდელი იყო, რელიგიების დაყოფის არ სჯეროდა. იგი, ასევე, არ ემხრობოდა ქრისტიანული ეკლესიის დაყოფას. ამ მხრივ, ის თავისი ეპოქისთვის და ჩვენი ეპოქისთვისაც მტკიცედ პროგრესული მოაზროვნე იყო. იდეა ისაა, რომ ყველა ჯგუფი შევკრათ ისეთ სიმბოლურ პარალელად, როგორისაც გრიგოლ ფერაძეს სჯეროდა. ის იყო მართლმადიდებელი მღვდელი, რომელიც ამავდროულად მუსლიმანებისთვის, ჩერქეზებისთვის იბრძოდა და საკუთარი სიცოცხლე ოსვენციში, ერთი ებრაული ოჯახის გამო განირა. ასევე დიდი პარალელის გაგება შეიძლება მაქსიმელიან კოლბესთან. კათოლიკე, რომელმაც იგივე გააკეთა. ის იყო დიდი კათოლიკე გმირი თავისი ქვეყნისა და კაცობრიობისთვის. ეს ერთიანობა ქრისტიანული სიმბოლოა განურჩევლად იმისა, თუ რომელი ეკლესიიდან მოდის ის - მართლმადიდებელი თუ კათოლიკური. თავისუფლების ეს დიდი მიწა და პოლონელი ერის არსებობა ჩვენთვის დიდი შთაგონების წყაროა, რადგან ეს ერი განსაკუთრებით კარგად იცნობს პატარა ერების ნუხილს. არის ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე დიდები არიან. მაგალითად ამერიკა - ის იდეას მოიცავს. ვფიქრობ, პოლონეთიც საოცარ იდეას მოიცავს მსოფლიოს ჩვენი ნაწილისთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მივინელებული იყო და დღეს წარმატებული პოლონეთი ყველა ჩვენგანის კეთილდღეობის გარანტია. ჩვენ ყველაფერს შევძლებთ“, - განაცხადა სააკაშვილმა.

### მაჟორიტარის ბიურო დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება

თვითმმართველობები მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებს აღარ დააფინანსებენ. პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების პროექტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული მაჟორიტარი დეპუტატისა და მისი ბიუროს საქმიანობის დაფინანსების ვალდებულებასაც თავისუფლდება.

შესაბამისი ცვლილება რეგლამენტის მე-19 მუხლში შედის და მისი შესაბამისობაში მოყვანა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონებთან ხდება.

პროექტის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავისუფლდებიან ვალდებულებისგან მაჟორიტარი დეპუტატი უზრუნველყონ სამუშაო ოთახით, სატრანსპორტო და კავშირგამბეჭდვითი საშუალებებით.

ამასთან, თვითმმართველობები საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსაც აღარ დააფინანსებენ.

ცვლილებების ავტორი ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგურია. პროექტი უკვე ინიცირებულია.

### სოციალურად დაუცველებს ბინის ქირის გადახდა საკუთარი დახმარებიდან შეეძლება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, 6 თვის შემდეგ სოციალურად დაუცველებს ბინის ქირის გადახდა საკუთარი გაზრდილი სოციალური დახმარებით შეეძლება. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მინისტრმა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრეტენზიებს უპასუხა, რომლებიც მთავრობის პროექტის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს აცხადებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ 6 თვის შემდეგ ისინი ქუჩაში დარჩებიან.

მინისტრის თქმით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. „ხელშეკრულება უკვე 1000-ზე მეტ ადამიანთან გაფორმდა და ისინი უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით. სოციალურად დაუცველებს შეეთავაზება, რომ მათ მინიმუმ 6 თვის განმავლობაში მიეცემათ საშუალება, იცხოვრონ საცხოვრებლად ადაპტირებულ პირობებში. საკვირველია, განცხადება - 6 თვის მერე რა ექნა და ამიტომ ახლავე უარს ვაძებო და შევდივარ ცხოვრებისთვის არაადაპტირებულ შენობაში. ეს უკვე ჯანდაცვის სამინისტროს სფეროს სცილდება და ასეთი მიდგომა ჩემთვის საერთოდ გაუგებარია“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, „6 თვის შემდეგ მოსალოდნელია და დაგეგმილია სოციალური დახმარების გაზრდა და მათ შესაძლებლობა მიეცემათ, თავიანთი ბინის ქირა გაზრდილი სოციალური დახმარებით უზრუნველყონ“.

### ლაგოდეხის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე 118 განცხადებაა რეგისტრირებული

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე 118 განცხადებაა რეგისტრირებული. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის საკრებულოს აპარატის უფროსმა გიორგი მესხიშვილმა განუცხადა.

საკონკურსო პირობების მიხედვით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ჰქონდეს უმაღლესი განათლება მაგისტრთან გათანაბრებული; სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი; ასაკით მაქსიმუმ 55 წლამდე; უნდა იცოდეს კომპიუტერული პროგრამები, ქართული, რუსული და ინგლისური ენები; ასევე, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. ანაზღაურება 2650 ლარია.

დაინტერესებულ პირებს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად განცხადების რეგისტრაცია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე დღეს, 24 საათამდე შეუძლიათ.

„საკონკურსო კომისია უკვე შექმნილია და ის 9 კაცისგან შედგება. კომისია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. მასში შედიან ფრაქციის წარმომადგენლები, ასევე ექიმი, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტი, პროფკავშირების წარმომადგენელი, სოცურუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ წარმომადგენელი და საზოგადოების წარმომადგენელი“, - განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის საკრებულოს აპარატის უფროსმა გიორგი მესხიშვილმა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ლოლაძემ თანამდებობა 21 ნოემბერს დატოვა. გამგებლის მოვალეობას მისი მოადგილე იოსებ ტყემალაძე ასრულებს.

### 1 იანვრამდე ძველი საკონტროლო-საღარი აპარატები რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნას

2013 წლის 1 იანვრამდე ძველი საკონტროლო საღარი აპარატები რეგისტრაციიდან უნდა მოიხსნას. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, უწყებამ იურიდიულ პირებთან ძველი საკონტროლო საღარი აპარატების რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით ხელშეკრულება უკვე გააფორმა.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მოუხსნელი საკონტროლო საღარი აპარატი ჩაითვლება დაკარგულად და გადახდელზე გაგრძელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული 3000-ლარიანი ჯარიმა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ერთი აპარატის მოხსნის ღირებულება არა უმეტეს 5 ლარია. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციიდან მოხსნას დღეისთვის ახორციელებენ შემდეგი იურიდიული პირები: შპს „კომპიუტერი“, შპს „ალიონი 1“, შპს „ლ.ბ. ინვესტ ჯგუფი“, შპს „ტმც“, შპს „პლაზა“, შპს „მტრიხი 2007“.

### 5 ლარიანი სადაზღვევო პაკეტი თებერვლიდან ამოქმედდება

2013 წლის პირველი თებერვლიდან 5 ლარიანი სადაზღვევო პაკეტი ამოქმედდება. როგორც ჟურნალისტებთან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, პირველი თებერვლიდან დაზღვევის 5 - ლარიანი პაკეტი იმ ადამიანებისთვის ამოქმედდება, რომლებიც არც ერთი სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტით არ სარგებლობენ.

„ხუთ ლარიანი პაკეტით სარგებლობა მოიცავს იმ კატეგორიის ადამიანებს ვინც არანაირი სადაზღვევო პაკეტით არ სარგებლობენ.

დაახლოებით, საქართველოს 2,2 მილიონი ადამიანი, რომელთაც არანაირი სადაზღვევო პაკეტი არ აქვს უზრუნველყოფილი იქნება მინიმალური სადაზღვევო პაკეტით“, - განაცხადა სერგეენკომ და აღნიშნა, რომ 1 ივლისიდან სახელმწიფო მოქალაქეებს 15-ლარიან საბაზისო პაკეტს შესთავაზებს.

### ავტოსაგზაო შემთხვევები დედოფლისწყაროში

გასული რამდენიმე დღე ავტოსაგზაო შემთხვევების სიმრავლით გამოირჩეოდა. ქალაქ დედოფლისწყაროში, ცენტრალურ მოედანზე, სწრაფად მოძრავი ბეემვეს მარკის ავტომობილი თავდაპირველად ჯერ ავტომანქანა ნივას შეეჯახა, შემდეგ კი მოედანზე ახლადაგებული გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტროტუარზე ავარდა.

თვითმხილველების განმარტებით, ავტომანქანის საჭერო ბალიშები დროულად ამოქმედდა, რის გამოც არცერთ მგზავრს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ბეემვეში თბილისიდან ჩამოსული მგზავრები ისხდნენ, რომლებიც მშობლიურ სოფელ ოზანაში იმყოფებოდნენ.

შემთხვევის ადგილზე დროულად გამოცხადდა დედოფლისწყაროს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ბრიგადა.

ბეემვეს მარკის ავტომანქანა იმდენად ძლიერ დაზიანდა, რომ მისი აღდგენა ფაქტობრივად შეუძლებელია.

გმირთა მემორიალი დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე 4 თვის წინ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით გაიხსნა, მასზე სხვადასხვა წლებში დედოფლისწყაროდან განეული და ომში დაღუპული გმირების გვარებია ამოტვიფრული.

ამას გარდა, კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროში. დედოფლისწყარო-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ჟიგულის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა.

დაშავებული მძღოლი 37 წლის ბერდია ნაროზაული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დედოფლისწყაროს სტაციონარში მოათავსა.

„დაშავებულს პოლიტრავმა აღენიშნებოდა, მას პირველადი დახმარება გაენია. მამაკაცის დაზიანებები მსუბუქი სახის იყო. პაციენტი იმავე საღამოს ბინაზე გაენერა,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა აგლაძემ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. ილია მარტყოფლიშვილი

# საკადრო ცვლილებები

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებით, დაინიშნენ გამგეობის მოადგილეები და სამსახურის უფროსები. ახალი კადრები სამსახურით მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგნენ.



აპაკი ნატროშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე - დაიბადა 1971 წლის 16 იანვარს, დედოფლისწყაროში; სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მართვის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1996 წელს დაამთავრა იურისტის კვალიფიკაციით. მუშაობდა დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრში მწვრთნელად, 2008 წლიდან არის პარტია „რესპუბლიკელების“ წევრი; 3 დეკემბრიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეა.



ნიკოლოზ სუციშვილი, გამგეობის მოადგილე - დაიბადა 1981 წლის 18 დეკემბერს, დედოფლისწყაროში; სოფელ ზემო ქედის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე. დაკავებული იყო მცირე ბიზნესით. 3 დეკემბრიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეა.



ბივი ბიზაშვილი, გამგეობის მოადგილე სოფლის მეურნეობის საკითხებში - დაიბადა 1968 წლის 2 დეკემბერს, დედოფლისწყაროში; დამთავრა თბილისის №22 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო მაძიებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზია-აფრიკის კათედრაზე, გაკეთებული აქვს ასპირანტის მინიმუმი. აქვს გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, ეწეოდა კერძო ფერმერულ საქმიანობას. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. 3 დეკემბრიდან გამგეობის მოადგილეა.

მარინა შვითენიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: დაიბადა 1954 წლის 6 ნოემბერს სიღნაღის რაიონში, 1971 წელს დაამთავრა ბოდბისხევის საშუალო სკოლა, 1981 წელს - თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. 1982 წელს მუშაობდა დაიწყო ნითელწყაროს რაიონის აღმასკომში, შემდეგ მუშაობდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილების გამგედ, რეფორმის შემდეგ - 2005 წელს სამოქალაქო რეესტრის დედოფლისწყაროს სამსახურის უფროსის მოადგილედ, 2008-2011 წლებში კი ამავე სამსახურის უფროსად. 2012 წლის 3 დეკემბრიდან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსია.



ელენე ბაიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - დაიბადა 1966 წლის 27 სექტემბერს, 1983 წელს დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლა, 1988 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი“, 1989 წელს მუშაობდა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამმართველოს ბუღალტრად, შემდეგ აღნიშნული ორგანიზაციის მთავარ ეკონომისტად. 1994 წელს მუშაობდა იწყებს შპს „წყალკანალის“ მთავარ ბუღალტრად, 2005 წლიდან - შპს „დალასინის“ მთავარ ბუღალტრად, 2006 წლიდან შეთავსებით შპს „მადნეულ კირის“ მთავარ ბუღალტრად, 2007 წლიდან კი შპს „კრაფტი-07“-ის მთავარი ბუღალტერია. შეთავსებით მუშაობდა შპს „ინვესტი ჯგუფი-2007“-ს წარმოების ბუღალტრის თანამდებობაზე, ასევე შპს „მექანიზატორი 2005“-ის მთავარ ბუღალტრად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



## ცოფის შემთხვევა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის 27 ნოემბრის №577 ბრძანების საფუძველზე, ცოფის კერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის მინდასარგებლობის ტერიტორიაზე ადგილი „თელა წყალი“ (იოსებ ჭილიტაშვილის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოონთროპონოზური ინფექციური დაავადების ცოფის საინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების და მასზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია.

ვეტკანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, ცხოველების სამიში სნეულებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის მინდასარგებლობის ტერიტორია ადგილი „თელა წყალი“ გამოცხადდა ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერად და დაწესდა საკარანტინო ზედამხედველობა ორი თვის განმავლობაში.

იმუნო-ბუფერული ზონის შექმნის მიზნით, მოხდება ცოფის ამთვისებელი ჯანმრთელი ცხოველების იძულებითი ვაქცინაცია. ააიპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს“ დაეცა დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და მონიტორინგის წარმოება ცოფით დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობის ანტირაბიული პროფილაქტიკური აცრების ჩატარებაზე. სოფელ ზემო

მაჩხაანის მინდასარგებლობის ტერიტორიაზე - ადგილი „თელა წყალი“, როგორც ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში, აიკრძალა ძაღლებისა და კატების ქუჩაში გაყვანა ან მათი სარეალიზაციოდ გადაყვანა. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურმა სამმართველომ უნდა უზრუნველყოს: - ცოფიან ცხოველთან კონტაქტირებული ცხოველების გამოვლენა, ლიკვიდაცია; - იმუნო-ბუფერული ზონის შექმნის მიზნით ცოფის ამთვისებელი ჯანმრთელი ცხოველების იძულებითი

ვაქცინაცია; - ცოფიანი ცხოველის მიერ დასნებოვნებული ეზოების დეზინფექცია; - აღნიშნული დაავადების თაობაზე მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.



## ყანას საფრთხე ემუქრება

დედოფლისწყაროში, შიკაპის ვილჯა დათმობის საშემოღობო ხორბლის ყანებს პურის ბზუალა ანადგურებს. როგორც ფარმერები აცხადებენ, მწერის ბასანადგურებელი პრეპარატები ეფექტური არ არის და მავნებლებს უკვე ასობით ფარმერი დაზარალდა. „ხორბალი განმეორებით ოქტომბრის თვეში დავეთვით. მე პირადად 60 ჰექტარზე მაქვს დათესილი, თუმცა მოსავალს ვეღარ ავიღებ, რადგან ბზუალამ ყანა სულ გადაიფარა. ის ძირითადად მინაში ბინადრობს. ბზუალა მასობრივად არის გამრავლებული და მის გავრცელებას თბილმა ამინდებმა შეუწყობდა ხელი. რაღაც პრეპარატები კი არსებობს გასანადგურებლად, მაგრამ არცერთი არ არის ეფექტური, ძვირიც ღირს და მათი შეძენაც ტყუილი ხარჯია. ამ ყანებს აღარაფერი ეშველება და ფაქტიურად

რად ყველა ხარჯი ტყუილად გავიდა. 1 ჰექტარზე ჯერ მარტო 500 ლარის სასუქი შევიტანე, სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვა. მინა უნდა გადაიხნას და ყანა ახლიდან დაითესოს, თუმცა მე მის დათესვას აღარ ვაპირებ, რადგან ძალიან დაზარალდი. გაზაფხულზე ქერს ან მზესუმზირას დავთესავ“, - აღნიშნა ფერმერმა ბეჟან გონაშვილმა. გონაშვილისგან განსხვავებით, მდგომარეობას საგანგაშოს არ უწოდებს ფერმერთა ერთი ნაწილი და აღნიშნავს, რომ ბზუალას საინააღმდეგო ეფექტური პრეპარატები არსებობს და მათი შეძენა სპეციალურ მაღაზიებში შესაძლებელია. პურის ბზუალას გავრცელების გამო განსაკუთრებით ის გლეხები წუხან, რომელთაც სოციალურად უჭირთ. ისინი სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესამსახურის უფროსის ვერიკო გულუას განცხადებით, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერებისთვის პურის ბზუალას საინააღმდეგო პრეპარატების უფასოდ გადაცემა ან ტერიტორიების შენამვლა არ იგეგმება. „სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. პურის ბზუალა არ განეკუთვნება ასეთი ტიპის მავნებელს, ის ჩვეულებრივი მავნებელია და ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან პრეპარატების ფერმერებისთვის გადაცემა არ იგეგმება. არ მოხდება ასევე სახელმწიფოს ძალებით ტერიტორიების შენამვლა, თუმცა ჩვენი სპეციალისტები ადგილზე ჩავლენ და ბზუალას გავრცელების არეალს შეისწავლიან. ისინი ფერმერებს ადგილზე გაუწევენ

რეკომენდაციებს, თუ როგორ და რა პრეპარატებით უნდა ებრძოლონ. ფერმერთა მომსახურების ცენტრში პურის ბზუალას საინააღმდეგო პრეპარატი ფერმერებისთვის ხელმისაწვდომია და მათ ყანების შენამვლა საკუთარი ძალებით უნდა მოახერხონ“, - აღნიშნა ვერიკო გულუამ. ამ განცხადების შემდეგ დედოფლისწყაროში მართლაც ჩარანტინო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. პურის ბზუალა არ განეკუთვნება ასეთი ტიპის მავნებელს, ის ჩვეულებრივი მავნებელია და ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან პრეპარატების ფერმერებისთვის გადაცემა არ იგეგმება. არ მოხდება ასევე სახელმწიფოს ძალებით ტერიტორიების შენამვლა, თუმცა ჩვენი სპეციალისტები ადგილზე ჩავლენ და ბზუალას გავრცელების არეალს შეისწავლიან. ისინი ფერმერებს ადგილზე გაუწევენ

რეკომენდაციებს, თუ როგორ და რა პრეპარატებით უნდა ებრძოლონ. ფერმერთა მომსახურების ცენტრში პურის ბზუალას საინააღმდეგო პრეპარატი ფერმერებისთვის ხელმისაწვდომია და მათ ყანების შენამვლა საკუთარი ძალებით უნდა მოახერხონ“, - აღნიშნა ვერიკო გულუამ. ამ განცხადების შემდეგ დედოფლისწყაროში მართლაც ჩარანტინო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. პურის ბზუალა არ განეკუთვნება ასეთი ტიპის მავნებელს, ის ჩვეულებრივი მავნებელია და ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან პრეპარატების ფერმერებისთვის გადაცემა არ იგეგმება. არ მოხდება ასევე სახელმწიფოს ძალებით ტერიტორიების შენამვლა, თუმცა ჩვენი სპეციალისტები ადგილზე ჩავლენ და ბზუალას გავრცელების არეალს შეისწავლიან. ისინი ფერმერებს ადგილზე გაუწევენ

# პირველად დედოფლისწყაროში - მასშტაბური მართონი

**შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მართონი დედოფლისწყაროში პირველად გაიმართა. ის განხორციელდა პროექტის "Healthy Leaving TOT" ფარგლებში. აქციას დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი შეუერთდნენ.**

ქალაქ დედოფლისწყაროში მართონის მსვლელობისას უსაფრთხოების ნორმების დასაცავად შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველომ განსაკუთრებული ზომები მიიღო.

მართონის მონაწილეები რუსთაველის ქუჩაზე მდებარე რკინიგზის სადგურის ხიდიდან დედოფლისწყაროს ცენტრალური მოედნისკენ გაემართნენ. ახლადაგებული შადრევანს შემოუარეს და პირველი სკოლის შენობასთან შეჩერდნენ.

როგორც დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის არასაკლასო აქტივობების მენეჯერმა კახა კოტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, პროექტი გულისხმობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 10 საჯარო სკოლის წარმომადგენელი ბავშვებისთვის ჰიგინის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, აივ-ინფექციის, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მართონში მონაწილეები დედოფლისწყაროსა და სოფლების სკოლებიდან იღებდნენ მონაწილეობას. გამგებელმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ისიც და საკრებულოს თავმჯდომარეც სწორედ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეები არიან და სიამოვნებით ჩაერთვნენ ლონისძიებაში.

„ნებისმიერ დროს ნებისმიერ ლონისძიებაში, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ მონაწილეობა მივიღო, ასევე თქვენც მოგიწვევთ გამგეობის მიერ ორგანიზებული ლონისძიებებში. შემოგვიერთდით, ყველამ ერთად ვიქტიუროთ და ჩვენი იმედი გქონდეთ ყოველთვის,“ - აღნიშნა გამგებელმა.

ვაჟებიდან პირველი ადგილი დაიკავა **ვანო ნათლაძემ**, მეორე ადგილზე გავიდა **გელა ქოქიაშვილი**, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა **ირაკლი ბურდული**.

გოგონებიდან პირველ ადგილზე გავიდა **კლერ ლიღლაძე**, მეორე ადგილზე **ანა რობიჭაშვილი**, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა **ქეთინა ლოვერმა**. გამარჯვებულებს შესაბამისი მედლები საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

გაზეთ „შირაქსთან“ საუბრისას მართონის მნიშვნელოვანი უნდა დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა. მისი განმარტებით, ამიერიდან დედოფლისწყაროში ყველა საერთაშორისო ლონისძიება უნდა აღინიშნოს და დღესასწაულები დედოფლისწყარომ განსაკუთრებულად იზივიოს.

„მიმართა, რომ ყველა ლონისძიებაში, რაც ქვეყნის მასშტაბით აღინიშნება, დედოფლისწყარო უნდა გამოირჩეოდეს. მეტსაც ვიტყვი, დედოფლისწყარო ის რაიონია, სადაც ყველაზე ლამაზად უნდა აღინიშნებოდეს ყველა საერთაშორისო დღე. ამისთვის, პირადად მე, როგორც გამგებელი, მთლიანად ვიქნები პროცესებში ჩართული. ყველა ლონისძიებას მხარს დავუჭერ და აქტიურ მონაწილეობას მივიღებ. მინდა, რომ დღეიდან ყველა სახის ლონისძიებას ალვნიშნავდეთ. ამას აქვს ორმაგი დატვირთვა. პირველი ის, რომ რაიმე დღესასწაულს ვხეივობთ, ხოლო მეორე საზოგადოების ჩართულობა. მოსახლეობა ერთმანეთს ხვდება, ეფერება და სწორედ სიყვარულით უნდა ვაშენოთ ჩვენი რაიონი, ისევე როგორც მთელი ქვეყანა,“ - განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

შემდეგ კომენტარი გააკეთა სკოლის დირექტორმაც.

„ჩვენი სკოლისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი ძალზე პრიორიტეტულია და ამ კუთხით უამრავ აქციას ვმართავთ. რადგანაც მსოფლიო მნიშვნელობის დღეა და ჩვენს სკოლაში იმყოფება „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეზონათან ბრენდისი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ნებისმიერ საერთაშორისო აქტივობაში, საჭიროდ ჩავთვალეთ, ეს ტრადიცია დაგვემკვიდრებინა. ბავშვები ძალიან შორს არიან ერთ-ერთი მანეთისგან. სკოლების დამეგობრება სხვა სახის ლონისძიებებით იმდენად ვერ ხერხდება. კონკურსის ტიპის ლონისძიებები ხშირად საკამათო ხდება ხოლმე, ზოგჯერ დაპირისპირების მიზეზიც. ამგვარი აქტივობები კი მთა ძალიან ამეგობრებს. ახლაც, როგორც ვნახეთ, რამდენიმე სოფლის სკოლაც იღებდა მონაწილეობას და ამ მართონით სკოლების დამეგობრების საფუძველიც ჩაიყარა. ასე რომ, ამ მართონს ბევრი დადებითი მომენტი ჰქონდა. სტუმრად გვყავდა მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა. მოხარული ვარ, რომ სკოლა აინტერესებთ და პირველივე ინიციატივაზე გამოგვეხმაურნენ. ძალიან დიდ იმედს ვამყარებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და ნაყოფიერი იქნება, იმიტომ, რომ სკოლას ყოველთვის თვითმმართველობის გვერდით დგომა სჭირდება,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა.

„ვეუქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო დედოფლისწყაროს ისტორიაში. ეს საერთაშორისო დონის აქცია ჩვენს რაიონში პირველად მოეწყო, ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეული დღე იყო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს და ასევე მონაწილე ბავშვებს, რომლებმაც ძალღონე არ დაიშურეს, რომ ყველაფერი კარგად ყოფილიყო და აქტიურად ჩაებნენ მართონში. როგორც პირვე-



ლი მცდელობა, მგონია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ვფიქრობ, რომ ნელნელა დაინტერესება კიდევ უფრო გაიზრდება,“ - აღნიშნა პირველი სკოლის მოსწავლე, მართონის მონაწილე ქეთი ჩავიაშვილმა.

გაზეთ „შირაქსის“ ინფორმაციით, პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამის PEPFAR-ის მიერ. პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ მართონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. გათამაშდა თასები და მედლები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.

„პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა თანატოლ-განმანათლებლების ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა და გახდნენ თანატოლ-განმანათლებლები, რის პარალელურადაც ჩაატარეს ტრენინგები და სემინარები საკუთარ სკოლებში ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის ავტომატურად გავრცელების მიზნით.“

პროექტის ავტორები არიან „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ჯონათან ბრანდსი და ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე კახა კოტაშვილი. მართონი ორგანიზებულია პროექტის მონაწილე მოსწავლეებისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მიერ.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთში, სოფელ ქვემო ალვანში პირუტყვის მეპატრონეებისთვის ცხვრის შემკრები მოწყობილობის, „ალიგატორის“ პრეზენტაცია გაიმართა. ცხვრის შემკრები მობილური მოწყობილობა კახეთის ვეტერინართა ასოციაციას გადაეცა „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“ და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნარკუსი“ ახორციელებდნენ.

ცხვრის შემკრები მოწყობილობის ძირითადი დანიშნულებაა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და მიმდებარე ტერიტორიების პირუტყვის მეპატრონეებისთვის ვეტერინარული მომსახურების (ვაქცინაცია, პრევენციული ზომები) გაუმჯობესება. აღნიშნული მოწყობილობის დაშლა-ანგობა ძალიან მარტივია და მისი განხორციელება დროს მოკლე მონაკვეთში ორ ადამიანს თავისუფლად შეუძლია. ევროპის ქვეყნებში ასეთი მოწყობილობა წარმატებით გამოიყენება წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ასაცრელად. საქართველოში მისი იმპორტი

## ვეტერინარული მოსახურება გაუმჯობესდება

დიდი ბრიტანეთიდან განხორციელდა „საქართველოს მტაცებლების კონსერვაციის პროექტის“ ფინანსური მხარდაჭერით.

სიახლეს გაზეთ „შირაქსთან“ საუბარში დადებითად აფასებს საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე **ბექა გონაშვილი**. მისი თქმით, რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს ამ პროექტის აუცილებლობაზე პირადად ესაუბრა და მოხარულია, რომ სიახლე კახეთის რეგიონშიც დაინერგება.

„სამწუხაროდ, ჯერ მისი ადგილზე მოხსნა უნდა ვერ მოვახერხებ და ვერც პრევენციას დავესწარი, თუმცა უახლოეს დღეებში ვაპირებ ალვანში ჩავიდე და დეტალურად გავცნო, რა შესაძლებლობები არსებობს. ახლა კი იმის თქმა შეიძლება, რომ სასიამოვნოა, როცა ამგვარი პროექტები ხორციელდება. 2 წლის წინ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს დები რეინოლდს ამ პროექტზე ვესაუბრე და სასიხარულოა, რომ პროექტი

უკვე განხორციელდა. ხელსაყრელია იმითაც, რომ მოწყობილობა მობილურია და მისი გადატანა ყველგან შეიძლება,“ - აღნიშნა ბექა გონაშვილმა.

ასოციაციების მართვის ცენტრის კახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია პირუტყვის ჯანმრთელობის პროგრამის ინიციატივით, რომელიც აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისა და კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ ეს მოწყობილობა პირველად გამოიყენება არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით.

სოფელ ქვემო ალვანში „ალიგატორის“ პრეზენტაცია თეორიული და პრაქტიკული ნაწილებსგან შედგებოდა. თეორიული ნაწილის პრეზენტაცია „ასოციაციების მართვის ცენტრის სტაჟორმა“ ქეთი რუხაძემ გააკე-

თა, ხოლო დემონსტრირება — კახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაციის წევრმა, აკაკი ელანიძემ.

პრეზენტაციას პირუტყვის ადგილობრივი მეპატრონეები დაესწრნენ. მათში „ალიგატორმა“ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია და აღინიშნა, რომ ხელსაყრელი პრობების შემთხვევაში, სიამოვნებით ითანამშრომლებენ კახეთის ვეტერინართა რეგიონალურ ასოციაციასთან.

„ალიგატორი“ განსაკუთრებით ხელსაყრელი მოწყობილობა პირუტყვის თუმი მეპატრონეებისთვის, რომლებიც პასტორალურ მეცხვარეობას მისდევენ და ცხვარი ბარში, ზამთრის საძოვრებზე ჩამოჰყავთ გამოსაზამთრებლად, ზაფხულში კი თემეთის ალპურ საძოვრებზე ბრუნდებიან. ამ მოწყობილობის საშუალებით, ცხვრის აცრა და სხვა პრევენციული ზომების მიღება ცხვრის გადასარეკ გზატკეცილზეც გახდება შესაძლებელი.

ილია მარტყოფლიშვილი

# გეცადოთ, დაგუბრუნოთ რაიონს მთავარი ფუნქცია

მსგავსი წერილის დაწერაზე ბევრს მიიჩნევენ, მაგრამ თავს ვიკავებდი, ამის სტიმული ცოტა ხნის წინ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილმა „ბაიბაქანი ბრეზანდის“ მომცა. წერილში რეალურადაა დანახული უამრავი პრობლემა, რომელიც ზოგადად დგას დღეს სოფლის მეურნეობის სფეროში და კონკრეტულად ჩვენი რაიონის ფერმერთა წინაშე, განვიცხადებ რედაქციაში მოსულმა დედოფლისწყაროს ნიადაგის ნაყოფიერების და აბრეშქვარის სამსახურის ყოფილმა უფროსმა ირა ბაიბაქანაშვილმა, რომელმაც გამოთქვა სურვილი, გამოსაზღვროს და გაზეთში დასმულ პრობლემებს, გთავაზობთ მასთან საუბარს:

- ქალბატონო ირა, იმ წერილში სოფლის მეურნეობაში არსებულ მრავალ პრობლემას ვეხებოდი, მათ შორის მიწის კადასტრისა და ნაყოფიერების საკითხსაც. თქვენ, თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ, ამ საკითხზე გინდათ გამომხატვრება.

- რა თქმა უნდა, მაგრამ ის პრობლემები, რომლებიც თქვენ დასვით, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ყველას დაუყოვნებლივ რეაგირება სჭირდება: ქარსაფარი ზოლების განადგურება, თესლის უხარისხობა, სუფსიდიის და იაფი კრედიტის აღების არ არსებობა. ის, რომ ნიადაგები გამოიფიტა, ქარი აზიანებს და ხანდახან მიწის პირისგან ჰგვის ათეული წლობით შექმნილ ჰუმუსოვან ფენას, უაღრესად სერიოზული და მტკივნეული საკითხია. მინდა, მკითხველმაც და ყველა ფერმერმაც იცოდეს, რომ ნიადაგის შექმნის პროცესი ძალიან ხანგრძლივია: - 100 წელიწადში 1-2 სანტიმეტრი ნიადაგი იქმნება, რომელიც ხშირად რამდენიმე დღეში ილუპება, უმეტესწილად ადამიანის დაუდევრობით.

ჩვენი რაიონის ტერიტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიდია და მისი უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად გულსატკეპია. მიწები, რომლებიც ჩვენი საზღვრისპირა რაიონისაა, ბევრ შემთხვევაში კერძო პირების საკუთრებაშია გადაცემული სხვა რაიონის და უარეს შემთხვევაში არაქართველ პირებზე, რაც დიდი შეცდომაა მაშინ, როცა ჩვენი რაიონის ბევრ მაცხოვრებელს არც ერთი გოჯი მიწა არ გააჩნია. ჩვენი მოსახლეობისთვის კი, მიწა ძირითადი საარსებო წყაროა. კლიმატური, ნიადაგური პრობლემისა და სხვა გარემოებების გამო ჩვენი რაიონის მთავარ და ძირითად მიმართულებად მემინდვრობა-მეცხოველეობა განისაზღვრა.

მინდა მოკლედ შევეხო ჩვენი რაიონის ნიადაგებს. რაიონის ნაკვეთები ძირითადად განლაგებულია დიდი შირაქის ველზე, პატარა შირაქში, ტარიბანასა და ზილიჩაში. გარე კახეთის ზეგნად არის ცნობილი აღნიშნული მასივები, რომლებიც ერთ მთლიან სისტემაში შედიან. გარე კახეთის ზეგანი რთული რელიეფით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია

დაბალი ქედებისა და სერების რამდენიმე სისტემა, მათ შორის კი განლაგებულია ვაკე-ტაფობები. გარე კახეთის ზეგნის ყველაზე დიდ ნაწილს შედგენს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე შირაქის ველი. ეს ვრცელი ვაკე-ტაფობები სიგრძით 30-35 კილომეტრს აღწევს, ხოლო სიგანე - 12-14 კილომეტრს. შირაქის ტაფობის აფსოლუტური სიმაღლე ცენტრალურ ნაწილში 500-560 მეტრია ზღვის დონიდან. კიდევზე კი 700-800 მეტრამდეა. ამგვარად, შირაქის ველი წარმოადგენს საშუალოდ 600-700 მეტრს ზღვის დონიდან ტალღისებრ-შემალეულ ვებერთელა ვაკეს ანუ უდიდეს ველი. შირაქის ველი თავისი კლიმატით მშრალი ჰავის (ცხელი ზაფხული და ცივი ზამთრის) ქვეზონას მიეკუთვნება. აქ გაბატონებულია დასავლეთის

ნიშნები - მიკრობები, სოკოები და სხვა. ჰუმუსისა, მასში მიმდინარე პროცესებისა და ცოცხალი ორგანიზმების წყალობით, ეს ფენა ყველაზე ნაყოფიერია. როგორც ცნობილია, ნიადაგის ნაყოფიერების ძირითადი მაჩვენებელი მასში ჰუმუსის შემცველობის დონეა. დღევანდელი მდგომარეობის გამოკვლევების შედეგების მიხედვით ნიადაგის უმეტესი ნაწილი ჰუმუსით ღარიბია. ჰუმუსის რღვევის პროცესი და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა განაპირობებს სისტემატურმა და მუშავენამ, სასუქების უარყოფამ, ქარისმიერმა ეროზიამ. ეროზია ანადგურებს ნიადაგს, ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქეს, ნიადაგის დანაკარგებთან ერთად იკარგება დიდი რაოდენობით საკვები ელემენტები და ჰუმუსი, რაც ამ ნია-

სანუხარსაც!  
- დიას, დედოფლისწყაროს რაიონში არსებობდა ნიადაგის ნაყოფიერებისა და აგროქიმიური სამსახურის ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორია თავის საქმიანობის პერიოდში ხელმძღვანელობდა „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ლაბორატორიის მუშაობის პერიოდში ტარდებოდა ნიადაგების გამოკვლევა, ისაზღვრებოდა ნიადაგის ნაყოფიერების დონე, რომელიც 1989 წლის შემდეგ აღარ გამოკვლეულა რაიონის ტერიტორიაზე. მცენარისა და ნიადაგის დიაგნოსტიკის სამუშაოს გამოკვლევის შემდეგ გაიცემოდა სათანადო რეკომენდაცია სასუქების შეტანის დოზებისა და ვადების შესახებ. ასევე საჭირო ზომებს იღებდა მომსახურე ზონაში სასუქების ბა-

ზდებოდა შემონახვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების და პესტიციდების არსებობის და მათი რაოდენობის შესახებ. ყოფილ კოლმეურნეობებში სილოსების და სენაჟების დამზადების პერიოდში კეთდებოდა ოპერატიული კონტროლი და ზემდგომ ორგანოებში იგზავნებოდა ცნობები მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. დასილოსების შემდეგ კეთდებოდა სრული ზოონტექნიკური ანალიზი საკვების ყუათიანობის შესახებ და კოლმეურნეობებს გადაეცემოდა დამზადებული საკვების მიხედვით, თუ რამდენ საკვებ ერთეულს შეიცავდა თითოეული კომპონენტი, მაგრამ საბჭოთა კავშირის წგრევის შემდეგ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ხელმძღვანელობამ სათანადოდ ვერ შეაფასა სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საქმეში. დაინგრა და დავიწყებას მიეცა ბევრი სამსახურის არსებობა და აუცილებლობა, რამაც დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე - სოფლის გაღატაკებამდე მიგვიყვანა. მათ შორის, დაიხურა ჩვენი ლაბორატორიაც. 2006 წელს გამოცხადდა მისი ლიკვიდაცია.

- ქალბატონო ირა, ეს წარსულია, დღეს რას ფიქრობთ?

- მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი მდგომარეობით აუცილებელია, მოხდეს მიწების დიფერენციაცია მათი ნაყოფიერების მიხედვით და სწორედ ეს მონაცემები იქნას გათვალისწინებული მიწაზე ქონების გადასახადის განსაზღვრისას, თორემ მიწის მფლობელი ცოდნა, როცა ყველანაირ მიწაზე ერთნაირ გადასახადს იხდის. ზოგადად კი 87 ლარი, მგონია, რომ მაღალი გადასახადია და მძიმე ტვირთად აწევს მსხვილ მიწათმოსარგებლესაც და მითუმეტეს გლეხს. მიწის ნაყოფიერების ამალეებისთვის კი საჭიროა ალდგეს აგროქიმიური ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის კაპიტალური შენობა, მართალია გაძარცვული და შელახული, მაგრამ მაინც დგას 9 აპრილის ქუჩაზე. გარემონტება და ტექნიკური აღჭურვა ესაჭიროება, რომლის მიღწევაც არ არის მიუწვდომელი. მე მოვისმინე ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ბატონ დავით კირვალისის საუბარიც, სადაც ის მსგავსი ლაბორატორიების აღდგენის საკითხს დადებითად აფასებდა. ამასთან, დიდ იმედს იძლევა ახალი მთავრობის ინიციატივა სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად მილიარდიანი ფონდის შექმნის თაობაზე. მე მქონდა შეხვედრა ჩვენი რაიონის გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან, რომელიც ხედავს მსგავსი ლაბორატორიის არსებობის აუცილებლობას და შესაძლებლობას. ვნახოთ, გაზაფხულიც მალე მოვა, განახლდება ხენათესვა, როგორ შევხვდებით ამ პროცესებს ახალ ვითარებაში, მომავალი გვიჩვენებს.

ესაუბრა ნაირა გორაშვილი



მიმართულების ქარები. ნალექების წლიური საშუალო რაოდენობა 500 მილიმეტრია. ნალექების მაქსიმუმი მაისის თვეზე მოდის, მინიმუმი ზამთრის თვეებზე. თოვლის საფარი არამდგრადია. დედოფლისწყაროს რაიონს საამაყო წარსული აქვს, რადგან საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი შირაქის ველზე მოყვანილი ხორბლის ფქვილით გამომცხარი პურით იკვებებოდა. ამიტომაც იყო, რომ შირაქის ველი საქართველოს პურის ბელელად იწოდებოდა. ეს ფუნქცია დღეს დაკარგულია.

პირველად ეროზიული მოვლენა თვალისთვის თითქოს ძნელად შესამჩნევია, ნიადაგი დაფარულია მდელით, მაგრამ საკმარისია მიხედვით ახლოს და შეამჩნევ, რომ მდელიზე ბალახშორის შიშველი მიწა მოჩანს, აქ უკვე დაშლილია პირველი ფენა. სახნავ-სათესი მიწები იმდენად ეროზირებულია, რომ ბევრგან მათზე ხენა-თესვა შეწყდა. გულსატკეპია ის ამბავი, რომ ამისთანა შავმიწა ნიადაგების მქონე რაიონს აღარ აქვს ის ლაბორატორია, რომელიც იკვლევდა რაიონის მცენარისა და ნიადაგის მდგომარეობას.

დაგების გაუდაბნოების რეალურ სამიშროებას ქმნის. ქარისმიერი ეროზიის შედეგად მიყენებული ზარალი ათეული მილიონობით ლარს ითვლის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ყოველწლიურად ერთი მილიონი დოლარის ღირებულების ექვივალენტის რაოდენობის საკვები ელემენტი იკარგება. ქარისმიერი ეროზიის გაძლიერებას ბევრად განაპირობებს ქარსაფარი ზოლების გაჩეხვა, რაც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე აქტიურად ხდებოდა ჩვენს რაიონში. პირველად ეროზიული მოვლენა თვალისთვის თითქოს ძნელად შესამჩნევია, ნიადაგი დაფარულია მდელით, მაგრამ საკმარისია მიხედვით ახლოს და შეამჩნევ, რომ მდელიზე ბალახშორის შიშველი მიწა მოჩანს, აქ უკვე დაშლილია პირველი ფენა. სახნავ-სათესი მიწები იმდენად ეროზირებულია, რომ ბევრგან მათზე ხენა-თესვა შეწყდა. გულსატკეპია ის ამბავი, რომ ამისთანა შავმიწა ნიადაგების მქონე რაიონს აღარ აქვს ის ლაბორატორია, რომელიც იკვლევდა რაიონის მცენარისა და ნიადაგის მდგომარეობას.

- აი მივაღწიეთ თქვენს მთავარ

# მალე თანამედროვე სტანდარტების სპორტკომპლექსი გაიხსნება



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილმა ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, ყოფილი კინოთეატრის შენობაში, თანამედროვე სტანდარტების სპორტკომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები პირადად მონაწილეობის და ვითარებას ადგილზე გაეცნენ. გამგებელი სამუშაოების დასრულების ვადით დაინტერესდა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას სამუშაოების ხარისხიანად შესრულებისკენ მოუწოდა.

„გასაგებია, რომ სამუშაოები დროულად უნდა დასრულდეს და ვადებში ჩავეტიოთ, თუმცა ნინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, აჩქარება კომპლექსის ხარისხს დადებითად არ ნაადგება. ეს სპორტული კომპლექსი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შენდება და აუცილებელია, რომ ყველაფერი ხარისხიანად გაკეთდეს. მუნიციპალიტეტს არ აქვს იმ ოდენობის ფინანსური სახსრები, რომ ახლადამენებულ შე-

ნობებს რამდენიმე წელში ისევ რეაბილიტაცია და თანხების ხელახლა გამოყოფა დასჭირდეს. ჩემი თხოვნაა, რომ ხარისხზე მაქსიმალურად გამახვილდეს ყურადღება. ჩვენთვის მთავარია, ხარისხი არ დაიკარგოს.“ — აღნიშნა გამგებელმა.

როგორც ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელმა ვახტანგ კიკილაშვილმა მუნიციპალიტეტის პირველ პირებს განუცხადა, შენობაში ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი მუნიციპალიტეტს თვის ბოლო რიცხვებში უნდა ჩაბარდეს.

„ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით სამუშაოები 18 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს, თუმცა, ვფიქრობ, რომ რამდენიმე დღით ადრეც შევძლებთ ამას. ძირითადი სამუშაოები უკვე დავასრულეთ, ამჟამად ნერვოზი სამუშაოები და დასუფთავების პროცესი მიმდინარეობს. სპორტული კომპლექსი აღჭურვილი იქნება ასევე საშხა-

პეებით, როგორც გოგონების, ისე ვაჟებისათვის. სულ მალე საკმაოდ კარგი კომპლექსი გვექნება.“ — განაცხადა ვახტანგ კიკილაშვილმა.

ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მომავალი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდას დიდი ყურადღება დაუთმოს.

შეგახსენებთ, ქალაქ დედოფლისწყაროში სპორტული კომპლექსის ასაშენებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 500 ათასი ლარი გამოიყო. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ყოფილი კინოთეატრის შენობა, რომელსაც სს „ქართული ფილმი“ ნლების მანძილზე არ თმობდა და საკითხი უშედეგოდ ჭიანჭურდებოდა, ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა 30 000 ლარად გამოიყიდა. ათეულობით ნლის მანძილზე გაპარტახებული შენობა უპატრონოდ იყო მიგდებული, პრობლემის მოგვარება მისი მფლობელის გამოვერ ხერხდებოდა.

ილია მარტყოფილი

## არდავიწყება წარსულის...

„ბევრი ლამაზი ცხოვრება დამთავრდა ჩვენს გარშემო. ადამიანები მიდიან, ზოგი დროულად და ზოგი უდროოდ, მაგრამ მათი ღვაწლი და ამაგი უკვალოდ არ რჩება.“

დღიდან ჩემი კულტურის სფეროში მოსვლისა, ყველა ღირსშესანიშნავ დღეზე ჩანანერებს ვაკეთებდი, ყველა სპექტაკლს ვესწრებოდი, ავტობიოგრაფიულ ბრიგადებშიც ვმონაწილეობდი, ბევრი იყო ღირსშესანიშნავი, საინტერესო დღეები. ყველა, ვინც ჩვენს გარშემო იდგა, უფრო სწორად, ვის ირგვლივაც ჩვენ ვტრიალებდით, შესანიშნავი ადამიანები, არტისტები, პიროვნებები იყვნენ. ბევრთან ძალიან ახლოს ვიყავი, მათი თანადგომა, პატივისცემა ლამაზ მოგონებად დარჩა ჩემში“- აცხადებს სარაიონო კულტურის სახლის ყოფილი მუშაკი, რაიონის საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება ქალბატონი ნინა ყოჩიაშვილი.

ნინა ყოჩიაშვილი კულტურის მუშაკთა ძველ და განუმეორებელ პლეადას ეკუთვნის, რომელთა მხრებზე გადადიოდა ეროვნული კულტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება. 38 წლის მანძილზე იგი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა კულტურის სფეროში. წლების მანძილზე მუშაობდა სარაიონო კულტურის სახლის ინსტრუქტორად და მეთოდისტად. მან 1945 წელს დაიწყო მუშაობა რაიონის სახელმწიფო თეატრში, თამაშობდა მთავარ თუ ეპიზოდურ როლებს.

ძველი თაობის ხალხს დღესაც კარგად ახსოვს ნინა ყოჩიაშვილის მიერ შესრულებული როლები: „ტირიფის ქვეშ“ (ლადი), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (კატერინა), „სტუმარ-მასპინძლობა“ (თებრო), „შესაფერისი ჯილდო“ (ნათელა), „აყვავებული ბაღი“ (ქეთინო) და სხვა.

ბევრი რამ გაიხსენა ქალბატონმა ნინამ. ნითელწყაროში სახელმწიფო თეატრი 1944 წლის ივნისში გაიხსნა, ხოლო მან თეატრში მუშაობა დაიწყო 1945 წლის იანვარში. თეატრში მონაწილე მსახიობები იყვნენ: მაკა ქართველიშვილი, ლუბა შანიძე, ჩიტო ინჯია, სონა ყოჩიაშვილი, გოგი

და ელგუჯა ალაძეები. ადგილობრივი სცენისმოყვარეები იყვნენ:თამარა მულიგინა, ელენე ფავლენიშვილი, რაისა ლაპიაშვილი, დარეჯან ყოჩიაშვილი, შოთა ყარალაშვილი, რეზო გონაშვილი, ალექსანდრე ნიკოგოსოვი, სიმონ ლოლაშვილი, ვახტანგ აბრამიშვილი. თეატრის დირექტორი გახლდათ აკაკი ინჯია, რომლის რეჟისორობის დროს დადგმული იქნა პიესები:რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, ცაგარელის „ხანუმა“ და „შენი ჭირიმე“, დადიანის „გეგეჭკორი“. შემდეგ მოვიდა ალექსანდრე ალაზნის-პირელი, რომელმაც დადგა ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

1947 წელს რაიონების უმრავლესობაში გაუქმდა სახელმწიფო თეატრები. შეიქმნა სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული რაიონული კულტურის სახლი, რომლის დირექტორი იყო ელენე ფავლენიშვილი, ხოლო რეჟისორად მოვიდა მიხეილ იარალი. მისი რეჟისორობით დაიდგა პიესები: ვ. გუნიას „და-ძმა“, გ. ჯავახიშვილის „აყვავებული ბაღი“, მ.კილასონიძის „ელეონორა“ და სხვა.

ნითელწყაროს სარაიონო კულტურის სახლი შეფობას უწევდა ნითელწყაროს ქართულ სამუალო სკოლას. რეჟისორმა მიხეილ იარალიმ სკოლის მოსწავლეთა ძალებით დადგა პიესა. „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლა“. მთავარ როლებს ასრულებდნენ მოსწავლეები: ეგული ყოჩიაშვილი, ეთერ კოვზირიძე, მზია ქიტიაშვილი და ჟუჟუნა ტუხაშვილი. ნამყვანის ტექსტს კითხულობდა მოსწავლე ლამარა ტირაცოვი. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა პიანისტმა ბორის სარქისოვმა.

მაყურებელს დადგმა ძალიან მოეწონა და რამდენჯერმე იყო იგი ნაჩვენები საზოგადოების წინაშე. კულტურის სახლთან შეიქმნა ავტობიოგრაფიული ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: დიმიტრი ქართველიშვილი, მარო ხარხელი, მერი მენიშვილი, ხეთისო დავითაშვილი, კარლო გოგაშვილი, ალექსანდრე გიგოლაშვილი. ბრიგადა მომსახურებას უწევდა საკოლომურნო მინდვრის მშრომელებს და ფერმის მუშაკებს, მიდიოდნენ საზაფხუ-

ლო საძოვრებზე და სხვა.

მასხოვს, სოფელ ჯავარიძის კოლმეურნეობის შირაქის საველე კალოზე ავტობიოგრაფიული ბრიგადის მოსვლა და მარო ხარხელის მიერ შესრულებული სიმღერა:

„შირაქში ზური დაზურდა,  
წითელწიწარსაც მკიანო,  
გაზურდა მკა და გაზურდა,  
ბიჭო, არ დაეგვიანო!  
ემირულ შრომაში, ჰარალაო,  
ომიაც გაუტყულო,  
შენ-საქართველოს მარანო,  
შენ-საქართველოს ბეგელი!“

მართლაც, გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში შირაქი პური ბეღელად იწოდებოდა. ახალი მთავრობის დაპირებებმა „გულს იმედი ჩავვისახა“ და ღმერთს ვთხოვთ, არ დარჩეს შირაქის ველის არცერთი მტკაველი აუთვისებელ-დაუმუშავებელი და შირაქმა ისევ დაიბრუნოს „საქართველოს ბეღელის“ საპატიო ტიტული.

1952 წლის 16 აგვისტოს რაიონში მოწვეულ იქნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე შალვა დადიანი და მას ჩამოჰყვა ბავშვების საყვარელი მწერალი როდიონ ქორქია, კოლექტივს მომზადებული ჰქონდა დადიანის პიესა „გეგეჭკორი“. მას ძალიან მოეწონა დადგმა და კულტსახლის მუშაკებს მადლობა გადაუხადა, დასთან ერთად გადაიღო სამახსოვრო სურათები.

ქალბატონ ნინას შევეკითხეთ:თქვენი განსახიერებელი როლებიდან ყველაზე მეტად რომელი როლი მოგწონდათ-მეთქი, „ჩემთვის ყველაზე საყვარელი როლი იყო პიესა „ცხოვრების გზაში“ დედის როლი, რადგან პიესის შინაარსი ჩემს პირად ცხოვრებას ემსგავსებოდა“.

- თუ შეგისრულებიათ როდისმე ბებიის როლი?  
- მომიხდა პიესაში „ლალი,სიყვარული და სხვები“ ბებიის როლის შესრულება.  
- ახლა, როცა აღარ მუშაობთ, თუ გაქცევს ვინმე ყურადღებას?  
- კულტსახლის დათმობის შემდეგ არავითარი ყურადღება და დახმარება არავისგან მასხოვს.

შეხვედვას ნინა ყოჩიაშვილის „მიბრეცილ ქოსს“ და უმალ გაიფიქრებ: აი, ვის სჭირდება დახმარება და ყურადღების მიქცევა.

ეპული ყოჩიაშვილი

## ღია წერილი დედოფლისწყაროს გამგებელს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანის მოსახლეობის მიმართ

მოგესხენებათ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი ფიროსმანი რაიონული ცენტრიდან ერთერთი ყველაზე დაშორებული, საზღვრისპირა სოფელია, რომელიც დასახლებულია აჭარელი ეკომიგრანტებით.

ჩვენ აჭარიდან გამოვექეციეთ სტიქიას და ბუნებრივი რესურსების და პირველ რიგში, დასამუშავებელი მიწის არასაკმარისობას და ეტაპობრივად ადაპტაციის შედეგად დავეფუძნეთ ჩვენთვის სრულიად ახალ რეალობაში, განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში. დღესდღეობით ამ სოფელში 150-მდე კომლი ცხოვრობს და ისევ წარუმატებლად ცდილობს გაუმკლავდეს ბუნებრივ პროცესებს და მისგან გამონვეულ სიძნელეებს, რაც ჩვენს ისეთად დუხჭირ ცხოვრებას კიდევ უფრო ამძიმებს.

ამჟამად ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ზამთრისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შეშის გარეშეა დარჩენილი. ჩვენს მიდამოებში არის ჭალის ტყეები, რომლიდანაც ბოლო წლების განმავლობაში ზე-ხმელი და ფიჩხის ტიპის რესურსი გამოგვეკონდა და ამით გაგვეკონდა თავი, მაგრამ წელს ეს რესურსიც ამოიწურა.

ტყისა და ველური ბუნების სააგენტოს კახეთის რეგიონალურმა სამმართველომ ჩვენთვის ტყეკაფები გამოყო მეზობელი რაიონების ტყეებში, რაც ერთი-ორად ზრდის მის თვითღირებულებას და ამ თანხის გადახდის საშუალება ჩვენ არ გვაქვს.

აქედან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რომ 2012—2013 წლის ზამთრის სეზონისათვის გამოყოთ საშემერესურსი და დაგვაკმაფილოთ შეშით. უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ და ჩვენს შვილებს სიცოცხისაგან გაყინვა გვემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ფიროსმანი სასაზღვრო სოფელია და მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ეროვნული მნიშვნელობის სტრატეგიული ღირებულებისაა.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომის.

პატივისცემით,  
სოფელ ფიროსმანის მოსახლეობა:  
ნერილს ხელს აწერს სოფელ ფიროსმანის  
118 მცხოვრები.

P.S. ღია წერილთან დაკავშირებით გაზეთი „შირაქი“ მუნიციპალიტეტის გამგებელს ესაუბრა. ირაკლი შიოლაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროს გამგეობა მუშაობს, რომ მოსახლეობის შეშის მომარაგების საკითხი საკუთარი ძალებით გადაჭრას.

# წმიდა მღვდელმთავრე აბიბოს ნეკრესელი



წმიდა აბიბოს ნეკრესელი, საქართველოში ჩამოვიდა VI საუკუნეში ცამეტ ასურელ მამასთან ერთად. ისინი უშუალოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა და გამოაგზავნა. მათ ცხოვრებაში სწერია, რომ ისინი იყვნენ „ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანი, ქურნი რჩეულნი საგვინი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, გან-

მანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონოზონებისანი“ და მათ შორის წმიდა აბიბოს ნეკრესელი, „მღვდელთმოდლუარი უბინოა, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი. სანთელი მალლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირ-

ველი უბინოდ ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თვისი შენირა მსხუერპლად მისსა მიმართ ჳელითა უსჯულოსა მარზპანისათა“.

წავიდა მამა თავიდან ღირს იოანესთან და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა, შემდგომ კი ევლავიოს კათოლიკოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით წმიდა აბიბოსი ნეკრესს ჩავიდა და მოციქულბრძოვ ღვანლს შეუდგა. მადლმოსილი მსახურებისთვის წმიდა აბიბოსი „იქმნა... ეპისკოპოზ, მწყემსი გალმა-მჭრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი“, - წერს ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრებაში“.

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი ცრუ სარწმუნოების გასავრცელებლად. მათ მრავალგან ააგეს ბომონები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მაზდეანები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ.

წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაულალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ქეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტიკიცისკენ მოუწოდებდა. ერთხელ წმიდა მღვდელმთავარმა ნახა, რომ მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, ვეღარ მოითმინა ბოროტება, წყალი დაასხა ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა მოგვებმა შეიპყრეს წმიდა აბიბოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალ-მკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდგომ ეს ამბავი აცნობეს სპარსეთის მარზპანს, რომელიც ამ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა. მარზპანმა ბრძანა, მისთვის მიეგვარათ

წმიდა აბიბოსი.

წმიდა აბიბოსი შავმთელი სასწაულთმოქმედის, ღირსი მამის სვიმონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბერს) მეგობარი იყო. ღირს სვიმონს ღმრთისგან ეუწყა წმიდა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და ეპისტოლე, ევლოგია და კვერთხი გამოუგზავნა წმიდა მამას. სოფელ იაღდოს მიღწეულ აბიბოსს ანტიოქიდან წამოსული მოციქული შემოხვდა და ღირსი სვიმონის საჩუქარი გადასცა.

ეპისტოლეში და ძვირფასმა საჩუქარმა გაახარა და განამტკიცა ტანჯვისთვის განმზადებული წმიდა მღვდელმთავარი. გზად მას ქართველები დახვდნენ და განთავისუფლების იდეა შესთავაზეს. წმიდა აბიბოსმა არ მიიღო წინადადება.

მღვდელმონამემ მტარვალებს სთხოვა, წმიდა შიომღვიმელის ნახვის უფლება მიეცათ მისთვის. სპარსელები დათანხმდნენ. წმიდა მამებმა მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. შემდეგ წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულთმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა, ელოცა მისთვის. წმიდა შიომ უთხრა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადლენ უფალმან, რაითა აღტყინებულიცა იგი უჩინოა ცეცხლი, რომელ აღუზინეს შენთვის ეშმაკსა განსაცდელად, დაშრიტო ადვილად... უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს ნარუვალისა და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა...“ მღვდელმონამე რეხში ჩაიყვანეს.

მარზპანმა მრისხანედ ჰკითხა სამსჯავროზე წარმდგარ წმიდა ეპისკოპოსს: „რასათჳს უვარ-ჰყავ უფლებამ მეფეთ-მეფისამ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ წმიდა აბიბოსმა მშვიდად მიუგო: „მე არავინ

ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე, რაითამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისამ. ხოლო გლოცავ, რაითა განეყენეთ უნდოსა მას მსახურებასა და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ“. კადნიერი პასუხით გაგულსებულმა მარზპანმა კვლავ ჰკითხა: „მე გკითხავ, რასათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაითამცა შენისა ღმრთისა წარგუყვანენ?“ ნეტარმა აბიბოსმა კვლავ მშვიდად მიუგო: მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, ცეცხლი შეშის დანვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, რადგან წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი. „ან მიკვრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვლ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს?“ მარზპანი საშინლად განარისხა წმიდა მღვდელმთავრის ასეთმა პასუხმა და მისი წამება ბრძანა.

ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს „ქვითა განტვინეს“. მისი წმიდა ცხედარი ქალაქარეთ გაათრიეს, უპატიოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად და მცველები მიუჩინეს, რომ ქრისტიანთაგან არავის წაესვენებინა და პატივით არ დაეფლა წმიდანის ნეშტი.

ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმონამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს წმიდა მღვდელმონამის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და დაკრძალეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

## მონატრება

### თალიკო ქამაშაძე-ზოროლიანი

შენ იცი, როგორ მიყვარდა და მიხაროდა დეკემბრის მოსვლა, ჩემო თალიკო, რადგან ჩემი დაბადების დღე იყო შენც არასოდეს მტოვებდი უყურადღებოდ, რადგან ჩვენი ურთიერთობა რძალ-დედამთილის ურთიერთობას სცილდებოდა და დედაშვილურ სიყვარულში იყო გადაზრდილი. 2011 წლის 10 დეკემბერმა შემაძულა ეს თვე, რადგან შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა მთელ ოჯახს. შენ დააობლე 2 წლის დათუნა, სიცოცხლე აჩუქე დაჩიკოს და ზეცაში გაგვიფრინდი, საიდანაც, გვჯერა, შენი ქმარ-შვილისა და მთელი ოჯახისთვის ლოცულობ. ჩვენ კი აქ ვლოცულობთ შენი სულისთვის ჩვენი მოურჩენელი ტკივილი, ჩვენი დაუვინყარო თალიკო, მშობიარობას გადაყოლილო ჩვენი დარდო და მონატრებაჲ. ამ მონატრებას ლექსად

გამოვთქვამ, შეიძლება მხატვრული თვალსაზრისით დიდი ვერაფერი ლექსია, მაგრამ გულიდან ამოსული გრძნობა და ტკივილი, რომელიც შენმა დაკარგვამ გამოიწვია ჩვენში. 10 დეკემბერს ერთი წელი გავა, რაც უშენოდ ვცხოვრობთ, ვზრდით შენს ორ ვაჟკაცს და შენი ხსოვნის პატივისცემას ვასწავლით. ნათელში იყავ, ჩვენი ძვირფასო.

თალიკო, თალო, ერთი წელია, ჩვენთან აღარ ხარ, ერთი წლის გასდა შენი დაჩიკო, ვერ გაუგია, თუ ამ სიკვდილმა რად წაიფანა მისი დედიკო. ჩემო თალიკო, ენით ვერ აღვწერ მე მონატრების ამ მძიმე ტკივილს, უშენოდ მიჭირს ბავშვების აღზრდა, ღმერთს ვევედრები, გთხოვ, დამიბრუნდი. ვერაფრით მიფხვდი, იმ 10 დეკემბერს შენ რად გიმტყუნა მუსთაღმა ბუღმა, რად დამიოღა მე ჰატარები



და რად დამეცა ტკბილი ცხოვრება. ამ მძიმე ტკივრის მე ვერ გავექცევი, ასე იწება ღმერთმა, განგებამ, წმინდა სანთლებმა გზა გაგინათოს მუღამ გვასწოვებარ, ნათელში იყავ. შენი დედამთილი ანჟელა, მეუღლე ბია, შვილები ღაბო და დარი

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვახტანგ კიკილაშვილს და ლალი ხუცურაულს დედის თამარ ხუცურაულის გარდაცვალების გამო.

ეკა გიორგანაშვილი, ბაბუცი ჯორკოშვილი, მანანა ცხვედიაშვილი, ნანა თავაძე, მარინა ქორიძე, მარინა მეხრიშვილი, თამრიკო ჯანაშვილი, ნუცა ალუღიშვილი, ირმა ჩალახეშვილი, მერი ბუთხუზი, ვალერი იაკობიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლალი ხუცურაულის ოჯახს დედის თამარ ხუცურაულის გარდაცვალების გამო.

მეზობლები: გიორგი გონაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, სოსო გოგაშვილი, ლილი გონაშვილი, ომარ ალადაშვილი, ბერდო ნასრაშვილი, გივი ლომიძე, ნელი ლვინიაშვილი, გოგია სეხნიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მზია ნატროშვილს, მადონა და მამუკა ბარბაქაძეებს მეუღლის და მამის რაზო ბარბაქაძის გარდაცვალების გამო.

# პირველმა სკოლამ საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა

5 დეკემბერს ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში სკოლის დირექციამ მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა. სკოლის დირექტორის, მაია ლაპიაშვილის განმარტებით, ანგარიში ბოლო 6 წლის აქტივობებს მოიცავს.

მოსწავლეებმა იმ პროექტების პრეზენტაცია მოახდინეს, რომლებიც ბოლო პერიოდში სხვადასხვა ფონდების დახმარებით განხორციელეს.

ლონისძიებს „ნარსულის ნაბიჯებით მომავლისაკენ“ დედოფლისწყაროს ინტეგრაციის ნარმომადგენლები, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები და დედოფლისწყაროს გამგეობის ნარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, USAID - ამერიკის განვითარების სააგენტო, ფონდი „პარმონია“, „ახალი თაობა, ახალი იდეა“ - სწორედ ამ ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელდა პროექტები: „ოცნების ბანაკი“, „სპექტრის საზოგადოებრივი ბანაკი“, „მე მიყვარს საქართველო“, „ინგლისურის მულტიმედია კაბინეტი“, „საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტი“, „FM-111“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და სკოლის ერთობლივი პროექტი „მწვანე ზონა“. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და სამოქალაქო კლუბი.

როგორც ლონისძიებამ აღნიშნა, პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვით დირექტორის მოადგილეს, სამოქალაქო კლუბის მეთაურებს, კლუბის მეთაურებს და „მშვიდობის კორპუსის“ ამერიკელი მოხალისე, ინგლისური ენის პედაგოგის ჯონათან ბრენდსს.

ლონისძიებს ეხსენებოდა ლეტისმობის ტადრის მოძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე. მან მოსწავლეები დალოცა და ნარმატებები უსურვა. მამა ნიკოლოზმა ლონისძიების დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა.

„ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, მომეწონა მათი პრეზენტაცია. ჩანს, რომ ბევრი უმუშევარი და უფროსები არ ჩარეულან. ვფიქრობ, რომ მოსწავლეებს ძალიან დიდი შემოქმედებითი უნარი აქვთ, ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ისინი, ასეთი კარგი ლონისძიების მოწყობისთვის.“ - გვითხრა დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ.

ლონისძიების თაობაზე გაზეთ „შირაქთან“ ისაუბრა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა.

„ეს იყო განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია, რომელიც საანგარიშო ხასიათს ატარებდა. 6 წელია, ამ სკოლაში ვმუშაობ და დღეს ყველა იმ აქტივობის თავმოყრა მოხდა, რომლებზეც ამ წლის მან-



ძილზე სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მუშაობდნენ. თავდაპირველად, პირველი ორი წელი ნამდვილად ვერ მივხვდით, რა უნდა გვეკეთებინა, თუმცა ახლა სახეზეა დაგეგმილი და განხორციელებული რამდენიმე პროექტი. რაც დღეს ვნახეთ, აი ეს არის ჩვენი მუშაობის შედეგი. მინდა ვთქვა, რომ ეს ლონისძიება ბავშვებმა დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით მოაზადეს.“ - აღნიშნა მაია ლაპიაშვილმა.

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“ - სა და USAID-ის დაფინანსებით არაერთი საინტერესო სახსრე დაინერგა, მათ შორის ბოლო დროს მოეწყო რამდენიმე სპეციალიზირებული კაბინეტი და სასკოლო რადიო. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ყურნალისტთა კლუბიც.

ილია მარტყოფლიშვილი  
ლევან შაიშვილი



## გუნდი „ჩემპიონი“ კვლავ გაემარჯვებული დაბრუნდა

1-2 დეკემბერს ქ. თბილისში, სპორტკომპლექს „არენა“-ზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი კიკ-ბოქსინგში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდებმა.

დედოფლისწყაროს კიკ-ბოქსინგის კლუბი „ჩემპიონი“-ს ხელმძღვანელი მამუკა მარაშვილი ამჯერად შედარებით მცირე შემადგენლობის გუნდით გაემგზავრა, რომელიც 8 სპორტსმენისგან შედგებოდა. თუმცა ნარმატების მიღწევამ ხელი არ შეუშლია და აღსანიშნავია, რომ ყველა სპორტსმენი საპრიზო ადგილებით დაბრუნდა და ტრადიციასაც არ უღალატეს, ტურნირის ყველაზე ტექნიკურად მომზადებული გუნდის ტიტულიც დაიმსახურეს და ცალკე დიპლომითაც დაჯილდოვდნენ.

„ჯერ არ ვაპირებდით გამგზავრებას შეჯიბრზე, რადგან საქართველოს ჩემპიონატი ახალი დასრულებულია, სადაც გუნდური პირველობა მოვიპოვეთ, რაც დიდი გამარჯვებაა. სპორტსმენები ასეთი დიდი ლონისძიების შემდეგ დასვენებას და ძალების აღდგენას საჭიროებდნენ, ამიტომაც არ გვექონდა მიზანდ გაემგზავრება და ბოლოს ნაკრები გუნდის რამოდენიმე წევრის თხოვნით აღმოვჩნდით ტურნირზე.“

მე კმაყოფილი ვარ მათი ასპარეზობით, თითქმის ყველა საუცხოოდ

გამოვიდა და მსავთა სიმბატიებიც დაიმსახურეს.

აი ისინიც: თორნიკე ლეკაშვილი, გიორგი გომერშიძე, ნიკა პოპიაშვილი, ნიკა ფიროსმანაშვილი, დავით ვინაშვილი, გიორგი ბენაშვილი, გოჩა ხილაძე (სოფელი ფიროსმანი) ვემალ ზოიძე (სოფელი ფიროსმანი).



„თორნიკე ლეკაშვილი ყველაზე დაბალ ნონით კატეგორიაში ასპარეზობდა და გუნდის ნარმატებშიც მისით დაინიჭა. ეს ის ჩვენი პატარა თორნიკეა, რომელიც ბათუმის შეჯიბრზე მოტეხილი ხელთ ასპარეზობდა, ყველა განაცვიფრა და

ჩემპიონობაც იზეიმა. თორნიკე პატარების გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენია. იმედია, მომავალშიც გაგვასარებს. ავღნიშნავ ასევე გიორგი გომერშიძის გამოსვლას. გიორგი ტექნიკურად კარგად მოასპარეზე ბავშვია და მასზე სამომავლო იმედებსაც ვამყარებთ. მისი

ვიდნენ და ნოკაუტებით დაამარცხეს მეტოქეები. მათი სახით გუნდს უკვე კარგი ცვლა ემატება. ასევე ნოკაუტით დაამარცხა მეტოქეები დავით ვინაშვილმა და მსავლეთის მონონება დაიმსახურა თავისი ოსტატობით და კარგი მომზადებით დავითი გუნდ „ჩემპიონის“ ერთ-ერთი ლიდერია.

არ შეიძლება არ შევავით გიორგი ბენაშვილი, რომელიც ასევე მზარდი სპორტსმენია და ყოველ შეჯიბრზე დონეს იმაღლებს. არც ახლა იყო გამონაკლისი და გიორგიმ რინგზე კიკ-ბოქსინგის ლამაზი ილეთების დემონსტრირებით ყველა მეტოქე დაჯაბნა. მან ასევე ღირსეულად მოიპოვა კიდევ ერთი საჩემპიონო მედალი. შეჯიბრზე ასევე ნარმატებულად გამოვიდნენ სპორტსმენები სოფელ ფიროსმანიდან, სადაც ჩვენი გუნდი „ჩემპიონის“ წევრი იოსებ ზოიძე ავარჯიშებს ბავშვებს.

გოჩა ხილაძე და ვემალ ზოიძე, ორივე შედარებით ახალბედა, მაგრამ პერსპექტიული სპორტსმენია. მათ წინა ტურნირებზეც კარგი შედეგი აჩვენეს და ახლაც გამარჯვება იზეიმეს. მინდა შევაქო ახალგაზრდა მწვრთნელი იოსებ ზოიძე სპორტსმენების კარგი მომზადებისთვის.

ასე დასრულდა 1-2 დეკემბრის ტურნირი და დედოფლისწყაროელი სპორტსმენები განაგრძობენ მომზადებას ახალი გამარჯვებებისთვის კიკ-ბოქსინგის „დიდ რინგზე“.

## იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

☎ 571 55 99 51.  
ფასი 4000 \$

\* \* \*  
ფირმა მსხვილფეხს საქონლისა და ღორბისათვის სოფელ ზაფარიძის ბოლოს (ტბის გადაღმა). შენობა აბურისაა, დათბუნებული, დოლფარებით, საკვაზურებით და საწყობებით განწყობილი, საზაფხულო სადგომით, უხეში საკვაზის შესანახი სათავსოთი, წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. აქვს სამოთხისანი კაპიტალური საცხოვრებელი ბინა და 3 კმ-მდებარე სამოთხის მიმდებარე ტერიტორიაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ ტელეფონურად:

☎ 599 12 14 15; 599 50 53 57.

## მადლიერება

დიდი ხანია, მანუხებს შაქრიანი დიაბეტი, მკურნალობა დაეიწყო ჯერ ტაბლეტებით, ხოლო შემდეგ გადავიდა ინსულინოთერაპიაზე, თანდათანობით დაუადების გართულება დაემწყო, რაც სახსრების ტკივილში გამოიხატა. ჩემმა მკურნალმა ექიმმა მარინა მენდელიძემ დამინიშნა სათანადო მკურნალობა, თან მირჩია, რომ მე მკურნალა-

ზერთერაპიითაც და მიმემართა ექიმ მარინა ქორძისთვის.

მეც არ დავაყოვნე, მივაკითხე ქალბატონ მარინას, რომელმაც ამიხსნა, რომ სულ ახალი აპარატი მიიღო საჩუქრად მაზლისგან ქალაქ ვორონეჟიდან ე.წ. მაგნიტურ-ლაზერული სხივებით მკურნალობის უახლესი აპარატი. დაეიწყო მკურნალობა და ორი კურსის ჩატარების შემდეგ საკმაოდ კარგი შედეგი მივიღე, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მკურნა-

ლობის ღირებულება სრულიად ხელმისაწვდომია. ვურჩევ დაბეჭდვით დაავადებულ ავადმყოფებს, ისარგებლონ ამ სიკეთით, გულისხმიერი მკურნალობისთვის დიდ მადლობას ვუხვდი ჩემს მკურნალ ექიმებს: მარინა მენდელიძესა და მარინა ქორძისს, ვუსურვებ მათ დიდხანს სიცოცხლესა და ნარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

ღარაუხან ყოჩიაშვილი

ა მ ი ნ დ ი		დედოფლისწყარო																		
შაბათი 08. 12	კვირა 09. 12	ორშაბათი 10. 12	სამშაბათი 11. 12	ოთხშაბათი 12. 12	ხუთშაბათი 13. 12	პარასკევი 14. 12	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე								
☁	☀	☁	☁	☀	☁	☁	8°	3°	7°	2°	3°	2°	4°	3°	4°	3°	3°	2°	3°	2°

გამომცემელი შპს „შირაჰი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილი მიყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხარეშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); მინაილ მარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა შიოლაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (თვის-მწერელი); მზინა ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „საარის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)  
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.